



63

უმალესი სასწავლებლებს ზოგიერთი კურსდამთავრებული თავს არიდებს განაწილების მიხედვით რაიონში სამუშაოდ წასვლას.

- რატომ რაიონში არ მიდიან სამუშაოდ ეს ახალგაზრდები?
- რაიონში მშობლები მუშაობენ და მათი წყალობით ესენი აქ დასეირნობენ!

№ 11 თბილისი ივნისი 1963

ნაწი

ბაგრატიონის 30-40, ფული, ვაზნი 20 კაპ.

აზიროსჩიხალი ყაზარა, უღვაჟის გაყიდველი და სხვ...

საკიდზე უნდა ჩამოვიდო პალტო ან ქუდი და მოქალაქეს მისცე ნომერი. შემდეგ მოქალაქე ბრუნდება, ნომერს გაწოდებს და ისევ მიაქვს თავისი პალტო, ან ქუდი. აი მთელი სირთულე მეგარდერობის პროფესიისა. ამ საქმეს მოხუცებიც კარგად უძღვებიან. ზედატანსაცმელის ჩამოსაკიდად საჭირო არაა არც დიდი ფიზიკური ძალა, არც ფენომენალური მეხსიერება, მაგრამ ერთი რამ აუცილებელია — პატიოსნება, რომლის ნასახიც არ გააჩნდა ყაზარ ტეტოშვილს. 30 წლის ახალგაზრდა სასტუმრო „კოლხიდაში“ მეგარდერობედ მოკალათდა. უწყინარი ხელობა აიჩნია, იგი აღდგომის ბატკანივით ეგებებოდა სასტუმროს ბინადრებს, აღარაფის ეჩხუბებოდა. დებოშისათვის ორჯერ ნასამართლევეა იცოდა, რომ მესამედ კისერს მოუგრებდა, სხვა ვინმე კი არა, თავისივე საქციელი.

და აი, სულ სხვა ხერხი გამოიხატა მან. ხული-განი გასაქეულანტა. მის ერთ „ღირსებას“ მეორე „ღირსებას“ შეემატა და ყაზარა, როგორც ღირსეული კომერსანტი, დინჯად, აუჩქარებლად ამოქმედდა.

— საზღვარგარეთული „ბეზრამბერნი“ წინდები ხომ არ გნებავთ? „იმპორტინი“ ფეხსაცმელი ხომ არ გვირდებთ? ეგებ მამაკაცის ჯემპერი გნებავთ? იტალიური „პლაშჩიკი“ მაცქს, — ჩაჩურჩულებდა ყაზარ ტეტოშვილი სასტუმროში მისულ სტუმრებს და შემდეგ იწყებოდა ის, რასაც ჩვენ საპეკულაციას ვეძახით, ხოლო ყაზარას მსგავსნი — მაყუთის კეთებას.

უნდა ითქვას, რომ მაყუთი იგივე ფულია, მხოლოდ იოლად ნაშოვნია... ან ბანქოშია მოგებული.

სან. ზ. ფორჩხიძის



— მისაღები გამოცდები ჩასაბარებელი გაქვს და რატომ არ მეცადინებო? — ვმეცადინებო რომელია, დღეღამე დავეძებ მასწავლებელს, რომელიც მომამზადებს, „ჩაგაბარებ“ და გამოცდებსაც ის ჩაიბარებს ინსტიტუტში!



ან მოპარული, ან სახელმწიფო საღაროდანა გატაცებული, ან საპეკულაციითა დაგროვილი.

გარდერობში მუშაობა ყაზარასათვის საბაზი იყო, საბარეო კი სულ სხვა. გარდერობი მან საჭირო წერტილად გადააქცია, ხოლო საქონლის საწყობად თავისი და მეზობლების ბინები გამოიყენა.

აზრზე არ იყო ყაზარა, როცა აზირის ჩიხის № 4-ში „სტუმრები“ ეწვივნენ. მასპინძელმა სუფრაზე, საჭმელის მაგიერ, ნაირ-ნაირი საქონელი გაშალა. 92 წყვილი მამაკაცის წინადა, 3 საწვიმარი „პლაშჩი“, სამი ჯემპერი, ქალის სამი წყვილი ფეხსაცმელი და რამდენიმე დასტა პირსამარსებისა. ყველაფერი იმპორტული იყო. ყაზარას საწყობში ნაღდი ფულიც აღმოჩნდა — 830 მანეთი. კომერსანტს „ანგარიშსწორება“ საათივით ჰქონდა აწყობილი.

— ჩვენი არ არის, სხვამ მოგვაბარა, წასაღებად აღარ მოსულა! — გაიძახოდნენ ყაზარა და მისი ცოლი, მაგრამ ორივეს ხმა მაშინ ჩაუწყდა, როცა „სტუმრები“ „მასპინძლებს“ შეეკითხნენ: ვინ იყო ის დალოცვილიშვილი, ამდენ საქონელს რომ აღარ მიაკითხათ.

— მისი არც გვარი ვიცით და არც სახელი! — ამოიხარა ყაზარამ ცხელი და ცოლმაც კვერი დაუკრა. მიუხედავად ასეთი „გულწრფელი აღიარებისა“ და ზუსტი პასუხისა, მილიციამ მათ არ დაუჯერა და ყაზარა ტეტოშვილი სულ სხვა „საწყობში“ მოათავსა, როგორც „ძვირფასი საქონელი“.

ყაზარა ტეტოშვილისაგან აბრამ აგარუნოვი იმითი გამოირჩევა, რომ იგი უფრო ვიწრო სპეციალობას დაუფლებია. არაერთი საწვიმრები და ჯემპერები, არც პირსამარსები და არც წინდები. აღმოსავლური ხალიჩები ამოიღო მან მიზანში. შუა აზიაში არის ქალაქი მარი, სადაც ლამაზ ნიხებს და ხალიჩებს ქსოვენ. აბრამ აგარუნოვამც იცოდა სიღამაზის ზუსტი ფასი, მან 17 ხალიჩა ხუთჯერად ცალ-ცალკე ამანათით გამოუგზავნა თბილისში სირვანდ არაქელის და მის ქალიშვილებს... საჩუქრად კი არა, გასაყიდად.

დაფრინავდა აბრამ აგარუნოვი საქართველოდან შუა აზიაში, მარიდან თბილისში. გამოგზავნილი ამანათები ადრესატების დახმარებით გამოქონდა საფოსტო განყოფილებებიდან. ცეცხლის ფასად ყიდა ხალიჩებს და ისევ მიემგზავრებოდა თბილისიდან მარისაკენ.

ბოლოს აბრამ ისევ ჩამობრძანდა თბილისში, მაგრამ მას ამანათების დახსნაზე დიდი გარჯა აღარ დასჭირებია. მილიციის მუშაკები დაეხმარენ, ტვირთი შეუმსუბუქეს, აღარც ხალიჩების გაყიდვით გააჯახირეს და ღვაწლმოსილ ადამიანს „დასვენება“ აღირსეს.

წარმოიდგინეთ კაცი, რომელიც დასცინოდა პატროსან ხალხს, დასცინოდა განა სიტყვით — თავისი მოქმედებით, ისიც წარმოიდგინეთ, რომ მას უსწრაფესი თვითმფრინავებიც თავის სასარგებლოდ ჰქონდა გამოყენებული, იცოდა დროის ყადრი, ყოველი წუთი ფულით ჰქონდა გაზომილი. მოსკოვიდან თბილისში იგი ისე ხშირად დაქროდა, რომ სხვას ამდენჯერ თბილისიდან დროში ასე გაუჭირებოდა.

არფენიკი დავითიანი ყიდულობდა ყველაფერს ჩატევაც კი მოხერხებოდა ყუთში, მაგრამ ათასნაირი ნივთებით გაჯეჯგილ ყუთებს თბილისში წამოდება არ უნდოდა? მობეზრდა არფენიკის მათი თრევა და ბოლოს ამანათებად გზავნიდა ნიკოლოზ არუთინოვის, ვართუშა დავითიანის, რუბენ დავითიანის სახელზე.

მაგარი ვაჭრობა გააჩაღა არფენიკმა შაქმაჭყაძის მთები დაახვავა მოსკოვ-თბილისის ტრასაზე. — თითო წუთი.

თითო წუთი! — გაიძახოდა არფენიკი დავითიანი და აფრენდა ამანათებს. აურაცხელი ყუთებიდან ერთს „გზა დებნა“ და მილიციისაკენ გადაუხვია. როცა მილიციამ ამანათს „ანკეტა“ შეუხსეს, ნაირ-ნაირი საქონლით სავსე ყუთს გული მოუვიდა, ახტა, დახტა და გაბრაზებულმა წამოიკივლა, რას ჩამაცივდით, ჩემსთანები ბლომად წამოვიდნენ მოსკოვიდან, იმათაც მიხედვით. „გზაბნეული“ ყუთი მართალი გამოდგა, მალე მიაგნეს სხვა ამანათების და მათი პატრონის გზა-კვალს. შეწყდა არფენიკი დავითიანის მოღვაწეობა. დროის ყადრი იცოდა მან და ძვირფას დროს იქ ატარებს, სადაც ჯერ არს.

მართლაც მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება, ყველა რომ ერთნაირად აზროვნებდეს და მოქმედებდეს. აღებ-მიცემობის საქმეშიც არის მრავალფეროვნება. ვარტევეს იაკუნაიანი სულ სხვა ყადრის ვაჭარი გამოდგა. თუ სხვებს სასპეკულანტო საქონელი საქართველოში შემოჰქონდათ, ვარტევესმა გარეთ გაზიდვა დაწყო. მან აფხაზეთიდან აზერბაიჯანში გადაიხიდა ასეული კილოგრამობით მანდარინი. შუა ვაჭრობაში გართული იაკუნაიანი სახტად დარჩა, მილიციის მუშაკები როცა დაადგინენ თავს.

ვარტევესმა იხტიბარი არ გაიტეხა, დააძრო ცნობა, რომლის მიხედვით იგი ახალ ათონში ცხოვრობს და თითქმის ციტრუსების საკუთარი ბაღიც აქვს, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ახალ ათონელის ცნობას ახალქალაქის რაიონის 26 კომისრის სახ. კოლმეურნეობის შტამში და ბეჭედი აწმვენებდა.

— ჰოი, საკვირველებაც, საიდან სადაო, — შეეკითხნენ ვარტევეს იაკუნაიანს. ვაჭრობაში გამოქანჯული კაცი დაინა, ერთის თქმალა მოახერხა: — სულ ჩემი არ გვეგონოთ, ნახევარი სხვი-სილი. 375 კილოგრამი მანდარინიდან 200 კილოგრამი ჩემია, დანარჩენი ვიღაც ქალისაა, რომელიც სადაც დაითესათ.

ბოლოს ვარტევეს ნაღვლიანად აღმოხდა: — ბაქოში რა ჯანდაბა მინდოდა, თბილისში დაეტყულებიყავი, ხომ მერჩიაო.

რაკი ციტრუსებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ეღუარდ გოცირიძეც არ უნდა დაგვევიწყდეს. გა-მოჩინილი აგრონომი არ გვეგონოთ ეღუარდი. არც რაიმე დამსახურება მიუძღვის ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

მაგრამ ერთი რამ მტკიცედ შეუსწავლავა მას — მოსკოვის ვასტრონომებში შეჭვრეტა და უცხოურ ფორთოხალთან ერთად საკუთარი უღვაშების შემჩნევა. ეღუარდი საქმეს მარტივად აგვარებდა... მოსკოვის მაღაზიებში 1 მან და 40 კაპიკად ყიდულობდა უცხოურ ფორთოხალს, შემდეგ უღვაშებს ლამაზად დაიყენებდა და, როგორც ზღვისპირეთის წარმომადგენელი, ქ იაროსლავში უცხოურ ციტრუსებს ქართულ ფორთოხლად ასაღებდა. დიდძალ ფულს იგებდა ეღუარდი, იცოდა ვაჭრობის მახანადა, მაგრამ აღარ დასცალდა. მოუჭრეს გზა, რომელიც უსულივით იყო მოლიპული და ეღუარდს უფსკრულისაკენ მიაქანებდა.

ყაზარა, აბრამა, არფენიკა, ვარტევენი და ეღუარდი სხვადასხვაგვარად მოქმედებდნენ, სხვადასხვა გზები ჰქონდათ „სასაპარუო“, არაფერს არ თაკილობდნენ, ყიდდნენ ჯემპერებს, ხალიჩებს, ციტრუსებს, რესპუბლიკის პრესტიჟს, საკუთარ უღვაშებს. საკითხავია, გაყიდული სინდის-ნამუსის ფასად მათ რა შეიძინეს?

3. ხმალაძე



მეფეული პირუფყვიპარიები

ქურდებს ხელმოწერებიც ესაჭიროებათ ქურდობის კვალის დასაფარავლად, როგორ გინდათ, ბიძია, ცივილიზაცია შეიჭრა ქურდობის წიგნებში და თქვენ ფარატინა ქალაქზე შექმდის დასამაც გეზარებათ?..

თუ სადმე ყალბი მოწმობების შემთხვევებისა და ყალბად შექმნილადმე-
ლების კადრები არა გყავდეთ, დარდს ნუ მიეცემით, ტყვარჩელი არც თუ ისე
შორსაა, იქაა სიყალბის აკადემია, უბნის ვეტეკიმ სტეფანე ავაკიმიანის რექ-
ტორობით და ტყვარჩელის სახელმწიფო სტატისტიკის მუშაკების ვიქტორია
ლასტოცკევას, აღმირა ბაბაევას და აღმირიციველ მუშნის ადგილებს დედაბურ-
ჯობით. ოღონდ მოიპარეთ და, ვისაც გინდათ მოპარეთ, ან, რაც გინდათ, მოი-
პარეთ, ყველაფერს გააკანონიერებენ, პატიოსნებისა ნიღაბით შემოსავენ. ჰოდა,
იქ მიპარეთ თქვენი აღსაზრდელები, ჯერ სინდის-ნამუსისაგან გარეცხავენ
და, თუ ამ გამოსვლას გაუძლებს, საჭმე გაჩარხულია, ისეთი ყალბისმქმნელები
დავებრუნდებით, რომ, ზევირც რომ ეცადოთ, მათ პატიოსნებაში ეჭვის შეპა-
რებას ვეღარ მოახერხებთ, აბა როგორ გეგონათ, ამაშია ხელოვნება!

ხსენებული „აკადემიის“ ბაზა გახლდათ ერთი მეორისათვის თავდადებუ-
ლი ბაცაცების ჯგუფი ოჩამჩირის რაიონის სოფელ ცუფიდან: ვალოდია ჯენიას,
ჩირა ლაზარიას, მუშნი გობიას, ივანე ლაზარიას, დუსია მინჯიას და ვლადი-
მერ ხურხუმალის შემადგენლობით.

მოიპარავენ პირუტყვს, გააფორმებდნენ პატრონად ჯგუფის რომელიმე
წევრს და მერე ყიდდნენ, სადაც ენებათ. ნადავლსაც თანაბრად იყოფდნენ
და ნაწყენსაც არავის ტოვებდნენ.

მუშეულთა წამოწყება არ დარჩენილა ხმად მალაღებლისად აფხაზეთის
წალკოტსა შინა. გამოაჩნდა მათთა საქმეთა საძრახავთა მიმდევრები და მიმ-
ბადველები, ყველა მათგანის განუზომელი დეაწლის აღნუსხვა ერთობ ძნელია,
მაგრამ ზოგიერთები შეუძლებელია არ დავასახელოთ, შთამომავლობას ხომ უნ-
და შემოვუნახოთ მათი სახელიცა და „ამაგიც“, რითაც ესოდენ გამოიჩინეს თა-
ვი და ამქვეყნიური დიდებაც მოხვეჭეს.

ერთ ხანს ყალბი ცნობებით იმაგრებდნენ ზურგს თხაპარები, ძროხაპარიე-
ბი, ღორიპარები და კამეჩიპარები, მაგრამ მერე და მერე გათამამდნენ, ყალ-
ბი ცნობის მომცემს რატომ უნდა გავუნაწილოთ ჩვენი ნაჭირნახულებიო.
თქვეს თავისთვის და ყოველგვარი ცნობის გარეშე შეუდგნენ ნაქურდალთა
გატყავება-აქნა-გასაღებას.


ოჩამჩირის რაიონის სოფელ ათარის მცხოვრებლებმა ილიკო კვიციანი და
ხუტა ლოპუამ ხარი მოიპარეს და დუნაშკა აკუსება კვიციანიას სახლში გამოა-
სალმეს წუთისიოფელს. კვალი რომ დაეფარათ, მთელი სოფლის თვალდასახა-
ვად ძროხა შეიძინეს ფატიმე კვიციანიასგან, ისიც დაკლეს, ხარის ხორციში
აურის, სამად გაიყვეს და გაყიდეს.

გალელი ქურდებიც არ ჩამორჩნენ ოჩამჩირელ კოლეგებს, თავილონელმა
შალვა აქირთავამ დიდი ნიჭი და უნარი გამოიჩინა ამ საქმეში. კოლმეურნეო-
ბას ათი კამეჩი მოპარა და შუბლქელკანიანმა ჯიბე გაისქელა. ბაჯა კოტლამ
ხმო მოიპარა კოლმეურნეობაში და აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის სასაღი-
ლოს გამგე ბოგო ყალიჩავას „უფეშქაშა“, კარგი მწველები გამოგა და აბა შენ
იცი, როგორ შეაშინებინებო.

ძნელია თქმა იმისა, თითქოს სოსუმის ხორცკომბინატისა და ტყვარჩელის
სასაკალოს თავკაცებმა ხელი მოიტბეს ამ საქმითო, მაგრამ ჯოღტი ფაქტი იმას
ამბობს, რომ ათობით მოპარული პირუტყვი მათ თვალწინ იკვლევოდა სპე-
ციალური დანებით.

შუბი ხალთაში არ დაიშალა. პირუტყვების მეტყველი ქურდების მრავალ-
მეტყველმა დეაწლმა ღირსეული დაფასება უნდა ჰპოვოს.

3. შიგლია



— აი, რომ არაფერს ჭამ, შენც ასეთი იქნები!

შინაგის გაენაუაჟუ

სახარული შეხვდნენ თბილისის 26 კომისრის
სახელობის რაიონის მაცხოვრებლები მშრომელთა
დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმას-
კომის გადაწყვეტილებას, მათ რაიონში ახალი
აბანოსა და სამრეცხაოს მშენებლობის შესახებ.

თითქოს ყველაფერი კარგად დაიწყო. აბანოსა
და სამრეცხაოს მშენებლობისათვის გამოიყო მი-
წის ნაკვეთი ბოჭორმის ქუჩაზე, შემუშავდა შენო-
ბის ტიპური პროექტი („გობროქალაქშენის“
ინსტიტუტში) და შემდეგ ის საბოლოოდ დამუშავ-
და „თბილქალაქპროექტში“. მალე ხორცშესახსნე-
ლად გადაეცა „თბილქალაქპროექტის“ კვლევით
სექტორს, სადაც მოხდა დეტალური დამუშავება
შენობის მშენებლობისათვის ადგილზე ყველა პირო-
ბის „გათვალისწინებით“.

აქ მიიღო პროექტმა, ასე ვთქვათ, საბოლოო
ფორმა. მისი მიხედვით შედგა ხარჯთაღრიცხვა
და აბანოს შენობის მშენებლობა მიენდო „მთავარ-
თბილქშენის“ № 8 სამშენებლო სამმართველოს.

დაიწყო გათხრები, შემოიღობა ეზო, მიზიდეს
აგური, ცემენტი, ხრეში, ქვიშა, რკინა, ხის მასა-
ლა და ყველაფერი, რაც საჭიროა მშენებლობისათ-
ვის, ჩაიყარა შენობის საძირკველი და წავიდა
მშენებლობა.

— ნეტავი რა შენდება აქ?—ხშირად კითხუ-
ლობდნენ გზად მიმავალნი.

— რა შენდება და, კეთილმოწყობილი აბანო,
თავისი სამრეცხაოთი, ლეზულობდნენ პასუხს მშე-
ნებლებისაგან.

რაიონის მოსახლეობა მოუთმენლად ელოდა
აბანოს მშენებლობის დამთავრებას და, როგორც
იქნა, მშენებლებმა მშენებლობა დამთავრებულად
გამოაცხადეს. ქალაქის საბჭოს აღმასკომის კამი-

ტალური მშენებლობის სამმართველომ „სახარქი-
ტიქტურმშენკონტროლისა“ და ინსპექციის გვერ-
დის ავლით აბანო ექსპლოატაციაში მისაღებად
მიიჩნია და საუწყებათაშორისო კომისიის მიერ
შედგენილი აქტის შესაბამისად ქალაქის საბჭოს
აღმასკომს წარუდგინა.

1962 წ. 17 თებერვლიდან აბანო ექსპლოატა-
ციაში მიღებულად გამოცხადდა და დაკომპლექტ-
და სათანადო შტატით.

დაიძრა ხალხი აბანოსაკენ. ამუშავდა მოსამ-
სახურე პერსონალი, წავიდა ბანაობა, ამუშავდა
სამრეცხაოც და ასე, და ამგვარად, აბანო სრულ
წესრიგში ჩადგა.

გავიდა რამდენიმე თვე და ერთ მხარეზე კედ-
ლებმა პირი დააღეს, იატაკმა ძირს დაიწია, ბზა-
რი შეეპარა. ერთის სიტყვით, აბანოს შენობა
ავარიულ მდგომარეობაში ჩავარდა, შეწყდა მომ-
სახურება და ამის გამო შეწყდა შემოსავალიც.
გასავალი კი დარჩა.

— რა მოხდა, ასე ჩქარა რა დაემართა შენო-
ბას?—კითხულობდნენ მაცხოვრებლები, რომლებიც
აბანოში მისულნი უკან ბრუნდებოდნენ.

— მშენებლების ბრალია!

— მშენებლები რა შუაშია, ან რას ვერ-
ჩიო მშენებლებს, როცა მშენებლობის ხარჯთაღ-
რიცხვა, ალბათ, მომჭირნობით და უთავოდ შეუდ-
გენიათ.—დასძინეს სხვებმა.

— აი დედასა, რა ტყუილად იტყვავთ თავს და
დროს კარგავთ ლაპარაკით?! „რა ჭქნას კარგმა

მონარდმა თუ დეშაში არ მოუვა.“—სიტყვა ერთ-
მა და დაუმატა ალბათ, პროექტი იყო თავიდანვე
უთავოდ შედგენილი, თორემ მშენებლებს რა ექ-
ნათ, რაც მისცეს, ის ააშენეს.

— შენობა თუ უხარისხოდ იყო აშენებული,
კომისიამ რატომ ჩასთვალა ექსპლოატაციაში მი-
საღებად და დეფექტები არ შეამჩნია?—წამოიძახა
ერთმა მანდილოსანმა, რომელსაც ბოხით სარეცხი
მოეტანა გასარეცხად.

— კომისიას სად ეცალა, ისე დეტალურად
შეემოწმებინა, რომ ასეთი დეფექტები შეემჩნია.
ანდა მშენებლებს უნდობლობას ხომ არ გამოუც-
ხადებდნენ, კოლეგები არიან.—წამოიძახა ერთმა
ხანშიშესულმა კაცმა.

ეს სჯა-ბაასი, ალბათ, დიდხანს გაგრძელდებო-
და, რომ კოკისპირული წვიმა არ წამოსულიყო
და აბანოს წინ თავმოყრილი ხალხი არ გავიანტა.

საინტერესოა რა სჯა-ბაასი აქვთ საპროექტო,
სამშენებლო, და შენობის ექსპლოატაციაში მიმ-
ლებ ორგანიზაციების მუშაკებს ბოჭორმის ქუჩაზე
აშენებულ აბანოს შესახებ? ალბათ, ერთი მეორეს
აბრალებენ აბანო-სამრეცხაოს შენობის უწყესოდ
აშენებას.

იქნებ ქალაქის საბჭოს აღმასკომმა გვიპასუხოს,
ვინ არის დამნაშავე და აბანოს ცუდად აშენები-
სათვის სათანადო აბანო მოუწყოს? მათ.

3. ნიკოლოზი

სოფელ მდევრებს, აი გვერ, სამხრის რაიონი რომაა, ტახლად და პატივით მუშაობდა ეკლესია...

საპასულოდ დღემდე გადაწყვიტა თავი მთავარი კვლევა მოამხატოს, გულსაბნელებული გეოლოგ...

რისპირაში



— ამ დღინს მოღონ ნ მოხირი რაიმე აწერია? — მადამი, ბატონო, რეაინარი დღინა არსულთ!

თინია. პინის სახლი ლაბაჩო

ერთა საცხოვრებს სოციალურმა სახლი ადგილკარა ტონია მა...

გაიღობ და დრო და 1960 წლიდან მომხარობენმა შეგები ამი...

დაქმნა

სის სადღერდობა მოსაშობება. თიქა სინდერა, გახადდა ტომ-დინდარა და საკარო გრია...

— ეს ეტყვი რამ გათრადია?— გათხაა ურთმა. პირდაპულუ მამქრდენ კედელ კველიან...

როგორც განყოფილება კინაა ბინებერა. ნ. პარამუნდო, თითარი გეოლოგური სამხე...

5451-5452, 5651-5652

მეტ მიდელ ბინა, საბინა თითოში, სხვათავე მაინც, კაგეზინტის თთხვის...



საეკორეგლი. ასეთი თანაშლებობის ცაცო როგორ დურემა ასე დაბლა? — რა ქანს, ნადლა ადინაიენ მუკვი!

მართა მადრი

სურნის ადგილმასობით კანტინარ 1951 წლის იფლისმა ჩააჩანა...



ნახ. 2. დურღლიშვილი

ჩინახუნდანი 5455

— ამ დროს ურის თქმა ზინდარს მცირებრივ ფულად დანახვას ეს ეტყვი...



სუფიქს ნახე

ერთი ბიჭი შემომიჩნდა:
— მივალ ქალის სანახავად,
წამომყვები,
გამომაჩენ,
ნუ გამიშვებ სალახანად.
ლამაზი ხარ,
ტანადი ხარ,
და თუკი თავს გამიყადრებ,
ეს ვაუკაცი ძმა არისოქო,
საცოლესთან დავიქადებ.
ძმა მყავს, მაგრამ ვერ წავიყვას,
ცოტას უსტვენს,
ცოტას აფრენს,
რომ ჩაბეროს, გააფრინოს,
ხომ ჩამიშლის ქალთან საქმეს.
აბა, მეტი რა გზა მქონდა,
ბევრი აღარ დავახანე,
გავყვები და ძმის დამგმობი,
ჩემი ძმობით გავახარე.
გამაცნო და საპატარძლომ
ცხვირი მაღლა აიწურა:
თურმე საქმროდ მე მოვუნდი,
თავისი კი დაიწუნა
და სულ წყალში ჩაეყარა
მისი შრომა,
მისი ბრძოლა,
იმ ჭაბუკის დასანიშნი
ახლა სახლში მიზის ცოლად.
მეორე დღეს ორივე ძმამ
გამლანძღეს და გამათრიეს...
— ძმა გერჩიოს, თუნდ სულელი,
უცნობსა და გადამთიელს!
ასეც გიტყვი: თუ არ გინდა
გახდე ჭვეყნის სალახანად,
შენზე კარგ ბიჭს ნუ წაიყვან
საცოლესთან სანახავად.

ბ. წერეთელი

ფათურ-ფათურ დამთავრდა

ნიანგმა მიმდინარე წლის პირველ ნომერში და-
ბეჭდა წერილი „ფათურ-ფათურ“, რომელშიც
მოთხრობილი იყო სახელმწიფო ქონების გამნი-
ველებს შესახებ.

წამლეულები და კომბინატორები ექსპედიტორი
ვ. გალდავა, „სოიუზტექნის“ საწყობის გამგე
ვ. დოლიძე, ფეხსაცმლის № 2 მაღაზიის სექციის
გამგე ი. მეშვილიძე, ორჯონიკიძის რაიონის
საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის და-
რაჯი ვ. ზავარაზიანი და ძმანი მათნი დაპატიმრე-
ბული არიან სხვადასხვა ვადით.

ეპიზოდი ღიბაზა

ვინ მოთვლის რამდენი ავადმყოფი მოუტყუებია
ექიმბაშ ილია გიორგისძე ფარქაშვილს, სანამ მის
შესახებ ნიანგის მე-ნომერში დაიბეჭდებოდა
მამხილებელი მასალა „ეპიზოდი ექიმბაშში“.

საქართველოს სსრ პროკურატურამ აცნობა ნი-
ანგს, რომ ჟურნალში გამოქვეყნებული ფელეტონ-
ის შესამოწმებლად გადაეგზავნა ხაშურის რაი-
ონის პროკურატურას.
გამოიკვა, რომ ი. გ. ფარქაშვილი წლების
მანძილზე არასდ არ მუშაობდა და ეწეოდა ექიმ-
ბაშობას. მას არ ჰქონდა არც სათანადო განათ-
ლება და, ცხადია, არც უფლება ეწარმოებია
ავადმყოფთა მკურნალობა. ი. ფარქაშვილი თაღ-
ლითური გზით ატყუებდა მოქალაქეებს, აძლე-
და მათ საკუთარ „აფთიაქში“ ბალახ-ბუღახის
ნახარშისაგან დამზადებულ წამალს, როგორც წე-
სი, ყველა ავადმყოფს ერთი და იგივე დოზით,
ერთი და იგივე ნახარშს. ამავე დროს მოქალა-
ქეებს უწერდა რეცეპტებს, რომელსაც ამოწმებდა
სახელმწიფო ელბის მრგვალი ბეჭდით.

აღნიშნული დანაშაულისათვის ი. გ. ფარქაშვი-
ლი მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხის-
გებაში. ხაშურის რაიონის სახალხო სასამართ-
ლომ განიხილა მისი საქმე და სათანადოდ დასა-
ჯა კეზიჯარელი ექიმბაშში.

ასანთი თუ „არსანთი“

მკითხველებს კარგად ახსოვთ ნიანგის მე-4
ნომერში დაბეჭდილი წერილი „მცხეთის ასან-
თიც კი წავს ხელს“. მასში ლაპარაკი იყო მცხე-
თის ასანთის ფაბრიკის მიერ გამოშვებული პრო-
დუქციის დაბალ ხარისხზე და 1961 წელს მიღე-
ბული ვერტიკალური სახერხი ჩარჩო — დაზვის
რდ-1100 გამოუყენებლობის შესახებ.

კედელი უკვე გაშრა

ნიანგის მე-5 ნომერში დაიბეჭდა წერილი „სვე-
ლი კედელი“, რომელიც ნათლად ღალადებდა
თბილისის პირველი მაისის რაიონის სარემონტო-
სამშენებლო კანტორის მიერ შესრულებული სა-
მუშაოების ცუდ ხარისხზე. პირველი მაისის
მშრომელთა დემუტატების რაიონული საბჭოს
აღმსკომმა სპეციალურად განიხილა აღნიშნული
საკითხი და რაიონის სარემონტო-სამშენებლო
კანტორის სამუშაოთა მწარმოებელს ჯანაშვილს
გამოუცხადა სასტიკი საყვედური უკანასკნელი
გაფრთხილებით.

კედელი ხელახლად იქნა ამოშენებული და ის
უკვე გაშრა.

ავტომატის ჯიხური გაღიბანა

ნიანგმა თავისი ფოტოაპარატით გადაიღო და
მე-ნომერში დაბეჭდა ახალდაბაში დადგმული
ტელეფონი ავტომატის ჯიხური, რომელიც დამს-
ვენებელივით უქმად იდგა ტელეფონის გარეშე
დღი ხნის განმავლობაში.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამი-
ნისტრომ ამის შესახებ ნიანგს აცნობა, რომ ჯი-
ხურის დადგმის ინიციატივა ეკუთვნის კავშირ-
გაბმულობის ბორჯომის რაიკანტორის უფროსს
ამხ. შ. კალანდაძეს, რომელსაც მიზნად ჰქონია
ავტომატ-ტელეფონის (ტაქსაფონის) მოწყობით
სატელეფონო მომსახურება გაეწია ამ სოფლის
მაცხოვრებლებისათვის.

მაგრამ მან ვერ გაითვალისწინა ის მდგომარეო-
ბა, რომ ახალდაბაში არსებული სატელეფონო
სადგურის სისტემა არ იძლევა ტაქსაფონის ექს-
პლოატაციის საშუალებას. ამკამად ტაქსაფონის
ჯიხური (ალბათ დასვენების შემდეგ) ხაშურშია
გადატანილი.

ნ. ნ. მალაზონიასი.



მესაათესთან

— რისთვის მოგიყვანია ეს მამალი?
— რალაც მოეშალა, წუხელი ნახევარი საათით გვიან
დაიყვილა.

პარაიები ნიანგო

საქართველო
საბჭოთაო

მე ერთი უბრალო, ჩვეულებრივი ბარათი ვარ, კონვერტში ჩადებული და დაწებებული, მაგრამ 20 აპრილიდან იმდენი ტანჯვა და ვეება გადახდა, რომ ბევრი სხვა ამას ვერ აიტანდა. მინდა ჩემი გასაჭირი გავიხიარო. ჩემი წამება ამა წლის 20 აპრილს დაიწყო, როდესაც საქართველოს სახელმწიფოს სამმართველოდან გამგზავნეს დაბლაიციხის მეტსადგურში. 23 აპრილს მახარაძეში ჩავდი. მახარაძიდან კი დაბლაიციხის ნაცვლად, რატომღაც, გურიანთაში მივრეს თავი. რატომ, რა მიზეზით, დღემდე ვერ ვამიგია. გურიანთადან უკან დამბარუნეს და გამგზავნეს ჩოხატაურში, მაგრამ იმდენად მოვიქაჩე, რომ ჩოხატაურიდან დაბლაიციხემდე 2 კმ გავლა 28 აპრილამდე ვეღარ მოვახერხე, მეტსადგურში დავაგვიანე და დიდი საყვილო მივიღე. ამა დავიანებული ბარათი ვის რაში სჭირდება და, რადგან მე 8 დღით დავაგვიანე, აღარ მიმიღეს და უკან დამბარუნეს, რატომ დროზე არ მოხვედით. ქმარ ნიანგო! მე დალუბული ბარათი ვარ და ჩემი საქმე აღარ გამოსწორდება, ამას მეც ცხადად ვხედავ. მაგრამ თუ სხვა ბარათებს მაინც არ შეემთხვევათ იგივე ამბავი, მე ძალიან კმაყოფილი ვიქნები.

საყვილო ნიანგო!

სამი წლის წინ გორგასალის ქ. № 39 ახალ ბინებში რომ შევსახლდით, კმაყოფილებისა და სიხარულის მეტი არაფერი გვიგრძენია. მაგრამ, ვისაც მე-8 სართული შეგვხვდა, დღეს დაგრწმუნდით, რომ ჩვენი სიხარული ნადრევი გამოდგა. ამაში ჩვენი სახლმმართველობა დაგვეხმარა, იმის დაზუსტების მიზნით, თუ რა გავლენას მოახდენდა მობინდარების ჯანმრთელობაზე მე-8 სართულზე ულიფტოლი სიარული, სახლმმართველობა განუწყვეტლივ აწარმოებდა ლიფტის მიმდინარე რემონტებს. რადგანაც ცდამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, სახლმმართველობამ ამა წლის იანვრიდან საერთოდ გამოითიშა ყველა ლიფტი. ალბათ, ეს ღონისძიება ნამდვილად რაიმე შედეგს გამოიღებს.

სანატრლო ნიანგო!

ჩვენ ქუთაისის გარეუბნელები ვართ, ისე კი სოფელ ბანოჯის მაცხოვრებლები, ინდუსტრიული ქუთაისიდან სულ რაღაც ასი მეტრით ვართ დაშორებული და სინათლე ჩვენ არ გვეღირსა და რადიო.

ამ ათი წლის წინათ ვისმენდით რადიოგადაცემას, მაგრამ წელს რადიორეპროდუქტორების დამუშავების ათი წლისთავი უნდა გადავიხადოთ. დღემდე ვამაცხოვრებელი და მის ალაპარაკებას საშველი არ ადგას.

სოფელში ჭრაქები და ნავთის ლამპები ბეჭტავენ. თქვენა გგონიათ, ჩვენი ელექტროფიცირება არ უფიქროს? იფიქრეს კიდევ, ორი წლის წინათ ბოქებიც მოზიდეს, დააყენეს კიდევ. მავთულებიც გა-

ვიქმეს, მაგრამ რა გამოვიდა, დენი არ გაუშვეს შიგ და უქმობითა და უსაქმურობით ნერვებაშლილი ბოქებიც განზე გადაწვენენ, წაქანავდნენ და დავანან ახლაც აღმაცერად. ჩვენო სანატრლო ნიანგო! რაიმე გვიშველეთ, იქნება როგორმე მოგვასმენინონ რადიოგადაცემები და იქნება ილიჩის ნათურებით ვაგვიფანტონ ღამის წყვდიადი!

შენი იმედის ანაბარა დარჩენილი

ბანოჯელები

ჩვენი ნიანგო!

ისევ შენ უნდა შეგაწუხოთ, ჩვენო საყვილო ნიანგო, თორემ ჩვენ, დელისელები, აი ეგერ საბურთალო-ვაკის მოპირდაპირე უბანში კანდელაკის ქ. № 123-დან მოყოლებული რომ ვცხოვრობთ, ძალიან შეგვაწუხა უგზობობამ, მუხლამდე ტალახში ტოპვამ, ქუჩებში გამეფებული წყვდიადმა და კიდევ ბევრმა რამემ, რომლებსაც ახლაც ჩამოვთვლით. ჩვენ ცოტანი კი არა ვართ, ცამეტი უშველებელი კორპუსი გვიჭირავს, რომლებშიაც 160-მდე ოჯახი ვბინდრობთ და კიდევ ამას კერძო სახლებში მცხოვრები 200-მდე ოჯახი უნდა დაუმართო. თუ გინდათ, რომ ჯამი სწორი გამოვიდეს და ყველამ გაიგოს, რამდენი ადამიანის ღალადისია ამ ერთცქინა წყვილში.

პურადმეორი ხალხი სულაც არ შეეყრილართ ამ უბანში. მაგრამ არ იქნა და პურის მაღაზია ჩვენ არ გვეღირსა, არც ხილ-ბოსტნეულის მაღაზია გავაჩანია, არც ხორცისა. არც გასტრონომიული. ყველა ხსენებულ სიკეთეთა შესაძენად ვაჭაფშაველას პრისპექტზე უნდა ჩამოვიდეთ, სხვა გზა არ არის, როცა კარგი ამინდია, ნაკლებად ვწუწუნებთ. მაგრამ ავდარში, თქვენს მტერსა და ორგულს ჩვენ რომ დღე გვადგას, მუხლამდე ჩურჩხელანავით ტალახში ამოვლებულს ტრანსპორტშიაც ლანძღვა-გინებით გვღებულობენ და მაღაზიებშიაც ხანძარი რომ გაჩნდება, თვითონ უნდა ჩავაქროთ, ჯერ ერთი და ტელეფონი არსადაა ჩვენს უბანში. რომ სახანძრო რაზმი გამოვიძახოთ და, კიდევაც რომ გამოვიძახოთ, ჩვენთან სახანძრო რაზმის მანქანა ვერ ამოვა, ტალახში ჩაფლობა და მერე მიდი და უყარე კაკალი.

სასწრაფო დახმარება თუ ვინმეს დასჭირდა, საგვიანო დახმარების იმედით უნდა გაუძლოს ყოველგვარ პირსა და ვეუბას, არადა, თუ მოთმინება არ ეყო, უხმოდ გაუღებს გზასა მოუსაველეთისასა.

ჩვენც ხალხნი ვართ, ჩვენო საყვილო ნიანგო, და მიდი, ერთი შეაგნებინე იმ ხალხს, ვისაც ჩვენი პატრონობა ეხება, რომ ჩვენც უნდა

მოგვხედონ, აკი ჩვენც ვურევითარო ტოლ-სწორებში და ჩვენთანაც უნდა მოსვლებოდეს სხვებს და ჩვენც უნდა მიგვევლებოდეს სხვებთან, რამეთუ კაცნი ვართ და ქუდი გვხურავს.

დელისელი

ქვირზასო ნიანგო!

ჩვენ ყუმურელები მთვარის შუქზე ვწერთ ამ წერილს და ყუმურისწყალს ვატანთ. მოგვეყინდა სიბნელეში ყურყურტი, გამოგყურედით ურადიოდ, შეგვეწუხა უგზოდ ყანყალმა და, თუ კაცი ხარ, მოგვაპყარ ყური.

ელექტრონი სოფელ ყუმურის ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინათ ანათებდა. ახლა კი, აგერ თხუთმეტი

წელიწადია, მამა-პაპური ჭრაქის შუქზე გავყურებთ ოდროზოდრო ბილიკს და ვფიქრობთ, რატომ გავვიუქმეს ჩვენი სოფლის პატარა ელსადგური? იქნებ მდინარე ყუმურის შემოაკლდა ენერჯია? არავითარ შემთხვევაში, ყუმურისწყალი ისე ყოჩაღად არის, რომ წელიწადში სამჯერ მაინც მიაქვს უყარათოდ გაკეთებულ-გარემონტებული სამების ხიდი და წყალში გვიყარის რაიონთან დაკავშირების ამ ერთადერთ იმედსაც. თხუთმეტი წელია გვაპირდებიან სინათლეს. რაც შეეხება რადიოქსელის და გზის გაყვანას, ცოდავს ვერ დავიდებთ და არც არავინ დაგვიპირებია.

ქვირფასო ნიანგო, იქნება გავგიგო, დიდხანს ვიქნებით ყუმურელები ასეთ ყოფაში?

ნახ. თ. ჭიჭიკარიანი



— ქალო, შეიძლება წავიკითხე გავითი და სადილი კიდევ არ არის მზად?
— შენი წერა-კითხვა არ არის ჩემი კულინარული შემოქმედების რეგლამენტი!

რედაქტორი **ნ. შველიძე**.
სარედაქციო კოლეგია: **ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი, ნ. მაღაზონია, მ. ქარჩავა, ო. ჭელიძე**.
საქ. კვ. ცენტრალური კომიტეტის გამოცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.
რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილებების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 3/VI-1963 წ. ქალ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5. პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 1178, შე 03240 ტირაჟი 40.000

ამას წინათ ესპანეთის ქალაქ მერიდაში შეს-
დგა ორი ფაშისტი დიქტატორის ფრანკოსა
და სალასარის შეხვედრა.

ამ შეხვედრის დროს სალასარი ცდილობდა
მიეღწია იმისათვის, რომ „კაუდილიოს“ მხარი
დაეჭირა პორტუგალიის დიქტატორისათვის,
რომელიც უარს ამბობს მიანიჭოს პორტუგალი-
ის კოლონიებს აფრიკაში თვითამორკვევის
უფლება.

(გაზეთებიდან).

შეხვედრა მაღალ ღონეზე.

